სოციალური დომინანტობის ორიენტაცია, ავტორიტარიზმი და წინარწმენები ქართველებში

გურამ მეტრეველი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გურამ მეტრეველი

12.06.2023

აბსტრაქტი

ჯგუფთაშორისი კონფლიქტების ახსნისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება წინარწმენების გაგებას. წინარწმენის ორი მთავარი პრედიქტორია სოციალური დომინანტობის ორიენტაცია(SDO) და მემარჯვენე ფრთის აუტორიტარიზმი(RWA). დაკიტის (2001) ორმაგი პროცესის მოდელის მიხედვით სოციალური დომინანტობის ორიენტაცია და მემარჯვენე ავტორიტარიზმი ორი განსხვავებული იდეოლოგიაა, რის გამოც ისინი წინარწმენას პროგნოზირებენ განსხვავებული მიზეზით, ერთი და იგივე ან სხვადასხვა ჯგუფების მიმართ. ამ თემაზე ჩატარებული კვლების უმეტესობა მიუთითებს, რომ SDO-ს მქონე პირებს წინარწმენა უვითარდებათ კონკურენტუნარიანი ან დაბალი პრესტიჟის მქონე(დეროგირებული) ჯგუფების მიმართ, ხოლო RWA-ს მქონე პირებს - უსაფრთხოების, სტაბილურობის და წესრიგის დამრღვევი(საშიში) ჯგუფების მიმართ, ხოლო ორივე ერთად კონკურენტუნარიანი და ამავდროულად საფრთხის შემცველი(დისიდენტი) ჯგუფების მიმართ. კვლევების მეტა ანალიზის შედეგები ასევე გვიჩვენებს რომ SDO-ს და RWA-ს შორის კორელაცია სუსტია ისეთ ქვეყნებში, სადაც მემარჯვენე და მემარცხენე იდეოლოგიებს შორის პოლიტიკური კონტრასტი დაბალია, ხოლო კორელაცია ძლიერია ისეთ ქვეყნებში, სადაც მემარჯვენე და მემარცხენე იდეოლოგიებს შორის მაღალი კონტრასტია. წინამდებარე ნაშრომში ვიკვლიე პროგნოზირებს თუ არა SDO და RWA ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წინარწმენას დეროგირებული, საშიში და დისიდენტი ჯგუფების მიმართ. ამისათვის შევარჩიე 18 უმცირესობათა ჯგუფი, რომელიც როგორც წესი, არიან წინარწმენის სამიზნე ქართულ საზოგადოებაში. კვლევის შედეგების მიხედვით, SDO პროგნოზირებს წინარწმენას განვითარების შეფერხების მქონეების, უმუშევრების და აზერბაიჯანელების მიმართ. RWA პროგნოზირებს წინარწმენას ტერორისტების, კრიმინალების, ნარკოტიკის მომხმარებლების, ნარკოტიკის გამსაღებლების, მეძავების, ფემინისტების, გეი კაცების, მუსლიმების, შიზოფრენიის მქონე პირების და რუსების მიმართ. SDO-ც და RWA-ც ორივე პროგნოზირებს წინარწმენას არასამთავრობო ორგანიზაციების, სომხების, ბოშების და ქურთების მიმართ. შეუხედავების მიმართ არცერთი არ პროგნოზირებს წინარწმენას.

წინამდებარე ნაშრომში ასევე შემოწმდა კორელაცია SDO-ს და RWA-ს შორის. კორელაციური ანალიზის შედეგების მიხედვით პოლიტიკით დაინტერესებულ პირებში კორელაცია SDO-ს და RWA-ს შორის იყო .56, ხოლო პოლიტიკით ნაკლებად დაინტერესებულ პირებში .46.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სოციალური დომინანტობის თეორია, სოციალური დომინანტობის ორიენტაცია, მემარჯვენე ფრთის ავტორიტარიზმი, ორმაგი პროცესის მოდელი.

Abstract

Understanding prejudice plays an important role in explaining intergroup conflicts. The two main predictors of prejudice are social dominance orientation (SDO) and right-wing authoritarianism (RWA). According to Duckitt's (2001) dual process model, social dominance orientation and right-wing authoritarianism are two different ideologies, so they predict prejudice for different reasons, either toward the same or different groups. Most research on this topic indicates that individuals with SDO develop prejudice against competitive or low-prestige (derogated) groups, and individuals with RWA - against groups that violate security, stability, and order (dangerous), and both competitive and at the same time towards dangerous (dissident) groups. The results of the meta-analysis of studies also show that the correlation between SDO and RWA is weak in countries where the political contrast between right-wing and left-wing ideologies is low, and the correlation is strong in countries where the contrast between right-wing and left-wing ideologies is high. In the present paper, I investigated whether SDO and RWA independently predict prejudice toward derogated, dangerous, and dissident groups. For this, I selected 18 minority groups, which are usually the target of prejudice in Georgian society. According to the results of the study, SDO predicts prejudice against those with developmental disabilities, the unemployed, and Azerbaijanis. RWA predicts prejudice against terrorists, criminals, drug users, drug dealers,

prostitutes, feminists, gay men, Muslims, schizophrenics, and Russians. Both SDO and RWA predict prejudice against NGOs, Armenians, Gypsies, and Kurds, while neither predicts prejudice against the unaffiliated. The correlation between SDO and RWA was also tested in the present work. According to the results of the correlation analysis, the correlation between SDO and RWA was .56 in persons interested in politics, and .46 in persons less interested in politics.

Key Words: Social dominance theory, Social dominance orientation, Right-Wing authoritarianism, Dual process model.